



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ზ უ გ დ ი დ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ი კ ე ტ ი ს მ მ რ ი ა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

მერის ბრძანება

N 325
05/12/2017

325-02-4-201712051515



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 36-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 74-ე მუხლის, „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №3 დადგენილების შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციულ ერთეულების მუშაობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი კობა ქირია.
2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისას იხელმძღვანელოს: საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“, საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ და საქართველოში მოქმედი საჯარო ინფორმაციის გაცემის წესების მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.
3. დაწესებულების თანამშრომლები ვალდებული არიან დახმარება გაუწიონ პასუხისმგებელ პირს ინფორმაციის დამუშავებაში, მათი ფუნქციის (სამუშაოთა აღწერილობა) შესაბამისად, თუ დასამუშავებელი ინფორმაცია სცილდება პასუხისმგებელი პირის სპეციალიზაციის სფეროს.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი, რევაზ ლაღიძის ქ. №12).

ლაშა გოგია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი